№ 7 1883—1903 30 აპრილი

F 25

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება

სია,

საქართველოს ეკლესიის წმიდათა, რომელთა დღენი იდღესასწაულებიან წირვითა, ზეთის კურთხ. და პარაკლ.

(დასასრული. იხ. „მწყემსი“ № 6.)

ივნისი.

21. წმიდათა დიდებულ მოწამეთა არჩილ II, ივერიის მეფისა და ლუარსაბ II, ქართლის მეფისა. არჩილ II, საქართველოს მეფე, ეწამა აზიმისაგან, ~~ბაღდადის ხალიფისაგან~~, 20 მარტს 744 წ. წმ. ნაშთი მისი დაკრძალულია ს. ერწოში (თიონეთის მაზრაში) ნოთქორის ეკლესიაში, რომელიც თვით მოწამისაგან არის აგებული.

არჩილი და ლუარსაბი.

27. ლირსისა და ღვთის-მოსავი გიორგი მთაწმინდელისა. თანამოღვაწე წმ. ევთიმესი წმ. მთაზედ, საბერძნეთის სიბრძნის მცოდნე, საღმრთოწერილის მთარგმნელი ქართულ ენაზედ. მიიცვალა 1066 წ. მისი წმიდა ნაშთი ინახება ათონის ივერიელთა მონასტერში.

განსაკუთრებითი ღამის-თევითი ღვთის-მსახურება.

ლირსი გიორგი მთაწმინდელი.

წმ. ლუარსაბი, მეფე ქართლისა, შვილი გეორგი მე-X-სა, ეწამა შაჰ-აბაზ I მიერ 1622 წ. შირაზში, ნაშთი წმ. მოწამისა შაჰის ბრძანებით იქმნა დაფლულ ორმოში სხვა დანაშაულთა გვამებთან ერთად შირაქში.

განსაკუთრებითი ღამის-თევითი ღვთის-მსახურება.

ივლისი.

12. წმ. დიდებულისა ღირსისა მამისა ჩვენისა იოანესი და ღირსისა მამისა ჩვენისა გაბრიელისა. წმ. იოანნე და გაბრიელი დიდებული ათონელი მოღვაწენი, ივერიის მონასტრის გამამშვენებელნი, პირველი მათგანი მეგობარი ღირსი ათანასე ათონელისა. მოიცვალენ მე XI საუკუნეში. წმ. ნაშთნი მათი დაკრძალულნი არიან ათონის ივერიელთა მონასტერში.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ზეთის-კურთხევით.

წმმ. მამანი: იოანნე, ექვთიმე და გაბრიელი.

29. წმ. მოწამის ესტატე მცხეთელისა. ჩამომავლობით სპარსელი, ეწამა 589 წელს. მისი წმიდა ნაშთი დაკრძალულია მცხეთის ათორმეტ მოციქულთა ტაძრის ტრაპეზის ქვეშ.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება.

აგვისტო.

3. წმიდისა პირველ-მოწამისა ივერიის ეკლესიის რაჟდენისა. ჩამომავლობით სპარსელი, ეწამა 457 წელს სპარსელთაგან. ჯერ აწამეს თფილისში, მერე ს. წრომში (გორის მაზრაში) აცვეს ჯვარს. მეფე ვახტანგმა წამების შემდეგ გადაიტანა ნაშთი ს. ნიქოზში.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ღამის-თევით.

წმ. პირველ-მოწ. რაჟდენი.

28. წმიდისა დიდებულ მოწამისა რანის დედოფლის შუშანიკისა, ქართველთ დედოფლისა. წამებულ იქმნა ქმრის ვასკანისაგან, რომელიც გადუდგა ქრისტიანობას და შეიქმნა ცეცხლის თაყვანის მცემელი, მე-V საუკუნის დასასრულს. მისი წმიდა ნაშთი დაკრძალული იყო პირველად დაბა ნორთაგში, მეექვსე საუკუნის დასასრულს კი გადატანილ იქმნა ქ. თფილისში და ამ ჟამად ინახება თბილისის მეტეხის ციხის ტაძარში.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ზეთის-კურთ.

მოძრავ დღესასწაულებში სრულდება ხსენება:

1. ყველიერის ხუთშაბათს ღირსი შიოსი, მღვიმეევის სასწაულთ-მოქმედისა (ამის შესახებ 9 მაისს არის ნათქვამი).

2. ბრწყინვალე კვირიაკის სამშაბათს ღირს მამათა ჩვენთა დავით გარეჯელის მონასტერში დახოცილთა აღდგომის დღეს. შაჰ-აბაზ I ს დიდის შემოსევის დროს, როდესაც დარბეულ იქმნა საქართველო, დავით გარეჯელის მონასტერიც დააქციეს, ყველა შიგ მყოფი ბერები გაწყვიტეს. მათი წმიდა ნაშთნი დაკრძალულ არიან დავით გარეჯელის უდაბნოში—განსაკუთრებულ ეკკლესიაში.

განსაკუთრებით ღვთის-მსახ. ზეთის-კურთხევით.

ღირსი დავით გარეჯელი.

აღდგომის შემდეგ მე-7-დე კვირიაკის ოთხშაბათს ღირსი დოდოსი, წმ. დავით გარეჯელის მოწაფისა.

განსაკუთრებით მღვთის-მსახ. ზეთის-კურთხევით.

იმავე კვირიაკის ხუთშაბათს ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა. ღირსი დავითი, ერთი 13 ასურელ მამათაგანი, პირველად იღვწოდა თფილისში, მაგრამ უსამართლოდ შეგინებული, გარდიხვეწა უდაბნოში 70 ვერსის მანძილზედ თფილისიდგან და მოაწყო სავანე ღირსი ლუკიანეს თანაშემწეობით, რომელიც მისი მორჩილი იყო. ღმერთმა მიანიჭა მას ძალა სასწაულთ-მოქმედებისა. მისი წმიდა ნაშთი დაკრძალულია ტრაპეზ ქვეშ, მისგან დაარსებულ დავით გარეჯელის უდაბნოს ტაძარში.

განსაკუთრებითი ღამის-თევითი ღვთის-მსახურება.

ღირსმა დოდომ, კახეთის თავადმა, საყვარელმა მოწაფემ ღირსი დავითისამ, დავით გარეჯელის უდაბნოსთან დაარსა განსაკუთრებით მონასტერი. მისი წმიდა ნაშთი დაკრძალული იყო დროთა ვითარებისაგან დოდოს მონასტრის დანგრეულ ეკკლესიაში, მაგრამ იქიდგან გადატანილ იქმნენ წმ. დავითის ეკკლესიაში (გარეჯელის უდაბნოში).

ამ წმინდანთა გარდა, რომელთა სახსენებლად დადგენილია ღვთის-მსახურება საეკკლესიო წიგნებში და რომელთა ცხოვრების აწერილობაც დაცულია მონასტრის სვინაქსარებში, საქართველოს ეკკლესია ადიდებს კიდევ შემდეგ მოწამეთ, რომელნიც გამობრწყინდენ საქართველოში სხვა-და-სხვა დროს; მათი ხსენება შეგხვდებათ ზოგიერთ საღმრთო წერილის წიგნებში ან არა და მათი სახელი იხსენიება ივერიის ეკკლესიის სასულიერო მწერალთაგან. რადგან დაბეჭდილ საღმრთო წერილის წიგნებში არ არის ნახსენები იმ წმინდანთა სადიდებელი დღეები, რომლებიც ქვემოდ არიან ნახსენები, ამიტომ დავასახელოთ ზოგი მათგანი, სხვების მოსახსენიებელი დღეები კი ვაჩვენოთ, რომლებიც ხვდებიან ხელთ-ნაწერებში და რომელნიც დაცულნი არიან ქართველთ სამღვდელოების მუზეუმში ქ. თფილისში:

1) წმ. დიდებულისა მოწამისა თავად შალვასი 10000 ქართველისა, რომლებიც გაწყვეტილ იქმნენ ქ. თბილისში სპარსელ მაჰმადიანთაგან, მათის წინამძღოლის ფეალალ ედინის ბრძანებით და თანადასწრებით მე-XIII საუკ. პირველ ძეოთხედში.

2) წმ. სიდონიასი და აბიათარისა. წმ. სიდონიამ სარწმუნოებით მიიღო აბიათარისაგან კვართი უფლისა და ძმასთან ერთად ირწმუნა ჯვარცმული ქრისტეს მოძღვრების ძალა.

ნამდვილი ხელ-მოწ. ალავერდის ეპისკ. დიმიტრის
და დეკ. მ. ტყემალაძის მიერ.

საქმე უწმიდესი სინოდისა.

კთ-ს იანვარს ჩშგ-ს წელსა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

სამოცდა ათის წლის წინ, 1833 წ. 2ს იანვარს, საროვის უდაბნოში მშვიდობით აღესრულა ნეტარი მოხუცი მღვდელ-მონაზონი სერაფიმე. თვისის მაღალის ჭეშმარიტ-ქრისტიანულ მოღვაწეობრივის ცხოვრებით მან ჯერ კიდევ თანამედროვეთაგან მოიპოვა თვისდა მიმართ საზოგადო სიყვარული. თანამედროვეთ სწამდათ, რომ მის წმიდა ლოცვებს ეავლენა ჰქონდა ღვთის წინაშე; ხოლო მისის ნეტარის აღსრულების შემდეგ ხსოვნა მისი, მტკიცდებოდა რა საღვთო მოწყალების სულ ახალ-ახალი ნიშებით, რომელნიც გამოუჩნდებოდათ სარწმუნოებით მისი ლოცვითის მეოხების მეძიებელთა, მეტად გავრცელდა მართლ მადიდებელ რუსთ შორის და მათ მიერ ღრმა მოწიწებითის პატივისცემით დაგვირგვინებულია. მთელი მისი ცხოვრება იძლევა მაღალს მოძღვრებითს სახეს ჭეშმარიტ-ქრისტიანობრივის მოღვაწეობისა, მხურვალე სარწმუნოებისა ღვთისა მიმართ და მოყვასთა თავ-გაწირულის სიყვარულისას. ის ჯერ კიდევ ჭაბუკი სტოვებს მშობელთა სახლ-კარს ქალ. კურსკში და, ყველასათვის უცნობი, მოდის საროვის მონასტერში. აქ ის ივიწყებს თვის ცხოვრებას მორჩილების პირველ საფეხურთაგან და წყნარად აღასრულებს თავის მოვალეობას,—ისე რომ ყველამ შეიყვარა იგი და პატივს ცემდა მას მისი სიმშვიდისა და სიწყნარისათვის. რვა წლის განმავლობაში სცდიდა იგი თავის თავს, ემზადებოდა რა მონოზნურის ცხოვრების გზაზე გამოსასვლელად. და, 13 მარიამობისთვეს 1786 წელსა, აღკვეცილ იქმნა ბერად სერაფიმედ სახელწოდებით; ხოლო ორის თვის შემდეგ ებოძა მას ბერ-დიაკონის ხარისხი. შემოზღუდული სიწყნარის მიერ, მამა სერაფიმე ვიდოდა ძალითი ძალად სასულიერო ცხოვრებაში. ვითარცა ბერ-დიაკონი, ის მთელს დღეებს, დილიდამ სმლამომდის, გაატარებდა მონასტერში, აღასრულებდა ღვთის-მსახურებას—და სამონასტრო წეს-რიგსა და მორჩილებასა, ხოლო საღამოთი იგი მიდიოდა საუდაბნოვო სავანეში, სადაც მთელს ღამეს ლოცვით გაატარებდა, და დილით ადრე, განთიადისას, კვლავ მოდიოდა მონასტერში თვისთა მოვალეობათა შესასრულებლად. 1793 წელსა 2 ენკენისთვეს ის ხელ-დასხმულ იქმნა მღვდელ-მონაზონად და უფრო უმეტესის ერთგულებით და გაორკეცებული სიყვარულით განაგრძობს მოღვაწეობას სასულიერო ცხოვრებაში. მას აღარ აკმაყოფილებდა თავის თავად სხვათათვის მძიმე შრომა მონოზნურის ცხოვრებისა: ლოცვები, მარხვა, მორჩილება, უანგაროება. მასში იღვიძებს წყურვილი უმაღლესთა და უმაღლესთა ღვაწლთა. ის თავს ანებებს მონასტრის ზოგად—საცხოვრებელს და გადაიხვეწება განმარტოებულს უდაბნურს სავანეში საროვის ყრუ ფიჭვნარის ტყეში; თხუთმეტი წელიწადი სცხოვრობს აქ სრულს განმარტოებით და თანაც სასტიკად მარხულობს, განუწყვეტლად ლოცულობს, ღვთის სიტყვას კითხულობს და ხორციელად შრომობს. ის ბაძავს ძველ წმიდა მესვეტეებს და, მადლით აღსავსე შემწეობით გამტკიცებული და ნუგეშცემული, ათას დღეს და ღამეს ატარებს ქვაზე დგომით ცის მიმართ აღპყრობილი ხელებით და იმეორებს ლოცვას. „ღმერთო! მილხინე მე ცოდვილსა ამას“. საგანდეგილო ცხოვრების გათავების შემდეგ, ის კვლავ მოდის საროვის მონასტერში და აქ, ვითარცა კუბოში, შთაიკეტება მღვიმეში თხუთმეტის წლის განმავლობაში, ამასთანავე პირველი ხუთის წლის განმავლობაში დროს ატარებს სიჩუმის აღთქმის აღსრულებაში. მთლად გაბრწყინვებული სულის წმიდის მადლით, გონებისა და გულით ღვთის მიმართ განუწყვეტელ ლოცვითის აღვლენით, ის არა ერთგზის ეღირსებოდა ჩვენებათა ზეგარდამო სოფლიდამ. მომწიფებული სულიერს ცხოვრებაში, ის, უკვე მოხუცი, მთელს თვის ცხოვრებას სწირავს მოყვასთა სასარგებლოდ მოქმედებას. მდიდრები და ღარიბები, ჩინებულნი და უჩინონი ყოველ დღე ათასობით მოდიოდნენ მის სავანესთან და, დავარდებოდნენ რა პირქვე წელში მოხრილი მოხუცის წინაშე, განუცხადებდნენ მას თვისის სვინდისის საიდუმლოებსა, აუწყებდნენ მას თვის მწუხარებას და საჭიროებას და მიიღებდნენ წრფელის მადლობით და სიყვარულით თითოეულს მის სიტყვას.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცაჰა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 7 1883—1903 15 აპრილი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ოფიციალური განყოფილება: სია საქართველოს ეკკლესიის წმიდათა, რომელთა დღენი იდღესასწაულებიან წირვითა, ზეთის კურთხევითა და პარაკლისითა.—საქმე უწმიდესი სინოდისა.

სალიტერატურო განყოფილება: სააღდგომო მილოცვა.—როგორ გავაშენე მე სასულიერო ბაღი.—ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან დღესასწაულობითი წირვა შიო მღვიმის მონასტერში 21 წარსულ თებერვალს, ყველიერის ხუთშაბათს. დეკ. დ. ღამბაშიძე.—„მწყემსი"-ს კორესპოდენცია. მღ. მიხ. ჩიქვინიძე.—აღდგომას, (ლექსი). ეგიმარიონი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება. კაჭახიძე —განცხადება.

სააღდგომო მილოცვა.

აგერ ცხრამეტი საუკუნე გავიდა ქრისტეს აღდგომის შემდეგ, მაგრამ დღესაც დიდის სიხარულით ეგებება საქრისტიანო ქვეყანა ამ დღესასწაულს, იმავე გავლენას ახდენს ეს დიდებული დღე მორწმუნეებზედ, რა გავლენაც მოახდინა ქრისტეს აღდგომის მხილველებზედ. „განიხარეს მოწაფეთა იხილეს რა აღდგომილი უფალი" (იონ. 20, 20). ეხლა ჩვენ არ ვხედავთ ხორციელი თვალებით აღდგომილსა ქრისტეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიხარებთ და ვიშვებთ დიდის დიდებით (1 პეტრე 1, 8). ან კი როგორ არ განვიხაროთ ასეთი სიხარულით! ერთის მხრივ უფლისა ჩვენისა ქრისტეს აღდგომაში გამოცხადდა დიდება მისი, დასთრგუნა რა სიკვდილი ძალითა ძლიერებითა თვისითა; იმან გვიჩვენა, რომ იგი არის ძე ღვთისა, „რომელიც დასდებს სულსა თვისსა და კვალად მოიღებს მას" (იონ. 10, 18). ბევრი სასწაული მოახდინა მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ქვეყნიურ ცხოვრების განმამავლობაში, მაგრამ სასწაული მისი ბრწყინვალე აღდგომისა აღემატება ყველას, იგი არის მთავარი საფუძველი ჩვენი რწმუნებისა მისი ღვთიურ ღირსებასა და სწავლაში. „უკეთუ ქრისტე არ აღსდგა, ამაო არს რწმუნებაი ჩვენი“ (1 კორ. 17, 17). აღდგომაში იგი გამოგვიჩნდა თვისი ძლიერებით, როგორც ძე ღვთისა. მეორე მხრივ დიდება აღდგომილისა, ჩვენი საკუთარი დიდებაა, რადგან მოციქული ბრძანებს: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა“, „ვითარცა იგი ადამისა გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“. ასეთი დიდებული დანიშნულებით დღესასწაული ქრისტეს აღდგომისა, აღემატება მნიშვნელობით სხვა დღესასწაულებს. ის არის „მეფე და უფალი, კვირა დღეთა შორის, დღესასწაული დღესასწაულთა და დიდება დიდებათა“ *) საეკკლესიო და სამოქალაქო დღესასწაულთა შორის. ამიტომ, თუ კი ყოველი დღესასწაული გვახარებს, მით უმეტეს აღდგომა ქრისტესი. ამისდა მიხედვით, ამ დღის ჩვეულებანი და მილოცვანი განირჩევიან სხვა დღესასწაულთა ჩვეულებათაგან.

ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად აღსდგა.

აღდგომის დღესასწაულის მილოცვის გამოხატვა ამნაირად არის მოღებული: „ქრისტე აღსდგა“, ამბობს ერთი; „ჭეშმარიტად აღსდგა“,—უპასუხებს მეორე. აღდგომის კვირას ეს მილოცვა განსაკუთრებით დიდებულია. წმიდა ტაძრები ამ კვირაში ბევრჯელ იხმობენ მღვდელ-მსახურთაგან: „ქრისტე აღსდგა“-ს და ერთ ხმივ მიგებას მლოცველთაგან: „ჭეშმარიტად აღსდგა!“ ეკკლესიაში ხმარებით კურთხეული ეს მილოცვა ორმოცი დღის განმავლობაში იხმარება ქრისტიანეთაგან. ეს დიდებული სიტყვები: „ქრისტე აღსდგა“ პირველად ანგელოსმა წარმოსთქვა. როდესაც მენელსაცხებლენი დედანი მოვიდნენ იესოს საფლავთან, რომ ეცხოთ გვამი მისი, იხილეს იქ ანგელოზი, რომლისა სახე ბრწყინავდა ვითარცა ელვა და ტანისამოსი იყო თეთრი, ვითარცა თოვლი. იგინი შეშფოთდნენ, მაგრამ ანგელოზმა უთხრა მათ: „ნუ გეშინისთ! თქვენ ეძებთ ქრისტეს ჯვარცმულს; ის აქ არ არის, იგი აღსდგა“. როდესაც ჩვენ ვამბობთ: „ქრისტე აღსდგა“,—ვბაძავთ იმ ანგელოსს. მხოლოდ როდესაც ვამბობთ: „ჭეშმარიტად აღსდგა“—ვემსგავსებით ქრისტეს იმ პირველ მოწაფეთ, რომელნიც მისი აღდგომის შემდეგ ერთი ერთმანეთს ეუბნებოდენ: „ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე“. ჭეშმარიტად აღსდგა! მოციქულთა და მოწაფეთათვის ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება მტკიცდებოდა მისი გამოცხადებით (საქმე მოც. 1, 3). ამ მოციქულთა რწმუნებას ჩვენთვის იგივე ძალა აქვს; მაგრამ უფალი ჩვენი, რომელიც თავის აღდგომის შემდეგ მრავალ გზის გამოეცხადა მოწაფეთ, არც ჩვენ გვაკლებს ამ სიხარულს. იგი გუშინ და დღეს და იგი თავადი არის უკუნისამდე. იგი უხილავად ამცნობს თავის ახლოობას ყოველ მორწმუნეს და მის მოყვარულს. რადგან მან თითონ სთქვა: „რომელსა აქვნდენ მცნებანი ჩემნი, და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყვარ მე; ხოლო რომელსა უყვარდე მე, საყვარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყვარო იგი, და გამოუცხადო მას თავი ჩემი“. შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა ძალითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა და ნიშნად მისი სიყვარულისა აღასრულებდე მცნებათა მისთა,—და ის გამოგეცხადება შენ, და იგი გამოცხადება აღგავსებს ისეთი განუსაზღვრელი სიხარულით, რომლითაც იყვნენ აღვსილნი ორი მოწაფენი მისნი, რომელნიც ემაუსში მოგზაურობის დროს ღირს იქმნენ ქრისტეს თანამგზავრობისა, ხოლო თვალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რათა ვერ იცნან იგი (ლუკ. 24, 16). მაგრამ გულნი მათნი, ეუბნებოდენ მათ, ვითარმედ ეს არს იესო ტკბილი,—და ბრწყინავდენ სიხარულითა (ლუკ. 24, 32). როდესაც შენი სულიც, აღვსილი სიყვარულითა მაცხოვრისადმი, მოვა ასეთ მდგომარეობაში—ლოცვით, მორჩილებით, ღვთის სიტყვის მოსმენით, წმიდა საიდუმლოებით—იცოდე, რომ იესო ტკბილი შეეხო მას, გამოგეცხადა შენ და მადლობდე მას იმ აურაცხელი მოწყალებისათვის, რომელიც მან მოიღო შენზედ. სარგებლობ რა მით, შენ თითონვე გრწამს, რომ ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე.

ქმური ამბორება.

საღდგომო მილოცვას მორწმუნენი გამოხატავენ ურთიერთ შორის ამბორებით, რომლითაც

*) ირმოსი მე-9 საგალობლისა საღდ. კან.

ამტკიცებენ სიხარულსა და ძმურ სიყვარულსა. სიხარულის გრძნობა ყოველთვის აღგავსებთ მეგობრობით და ერთობით. ვისაც რამე უხარია, ვინც კარგ გუნებაზედაა, ყველას კარგად უყურებს, ყველასათვის კეთილი უნდა, ყველას მიუტოვებს შეცოდებათა, სურს ყველა გულზედ მიიკრას. წმიდა ეკკლესიას სწორედ ეს სიხარულის გრძნობა აქვს სახეში, როდესაც გვიწოდებს აღდგომის დღესასწაულზედ, რათა ჩვენ ვეამბოროთ ურთი-ერთს, უთხრათ ჩვენ მოყვასს, ვინც უნდა იყვეს იგი: შენ ჩემი ძმა ხარ,—და ჩვენ მტერთ ვაპატიოთ ყოველივე. სიხარული ყოველთვის მეგობრული გრძნობას იწვევს, მაგრამ ეს კი განსაკუთრებით უნდა ხდებოდეს აღდგომის დღეს. რადგან თვით მაცხოვარმა არ იუკადრისა თვისი აღდგომის დღეს ეწოდებინა მოწაფენი თავის ძმებათ, მიუხედავად მისი გაბრწყინვებული კაცობრიობისა, კავშირი მისი მათთან, როგორც მოუსეშელი ბუნების მქონეებთან, უფრო განმტკიცდა. „წარვედ ძმათა ჩვენთა“ (იოან. 20, 17). რქვა მან მარიამ მაგდალინელს. „წარვედით და აუწყეთ ძმათა ჩემთა“ (მათ. 28, 10), რქვა მან მენელსაცხებელ დედათა. მაშასადამე, თუ კი უფალი ჩვენი, რომლის ბუნება განიდიდა აღდგომითა, უწოდებდა ყველას ძმათ, ჩვენ განა გავბედავთ, მისი მოგონების შემდეგ, დავივიწყოთ რომ ჩვენ ყველანი ძმანი ვართ? ჩვენ შეგვიძლია განვიხაროთ აღდგომით და არ გაუყოთ ჩვენი სიხარული და შვება მოყვასთ? აი ამიტომ წმიდა ეკკლესია, რომელიც მუდამ ძმობის მქადაგებელია, აღდგომის დღესასწაულზედ ვალად გვდებს ურთ-ერთ ამბორებას. თავის თავად ცხადია რასაკვირველია, რომ ეს ამბორება, როგორც ძმობის და ერთობის აღმნიშვნელი, უნდა იყოს ნამდვილად ძმური, წმიდა. „მოიკითხევდით ურთიერთარს ამბორის ყოფითა წმიდითა“ (რომ. 16, 16). ამბორის მყოფელთ მხოლოდ ერთი უნდა ახსოვდეთ—ქრისტე. ვინც ამ ქრისტიანულ ამბორების დროს ხელმძღვანელობს უწმიდურის გრძნობებით და არა კეთილის აზრით, იგი დამნაშავეა, როგორც მქირდავი.

წითელი კვერცხის ჩუქება.

საღდგომო მილოცვასთან ერთად შემოღებულია წითლად შეღებილი კვერცხების ჩუქება. ეს ჩვეულება ქრისტიანობის დასაბამიდგანვე არსებობს, იგი ყველგან დაცულია, სადაც კი მართლ-მადიდებელ ეკკლესიას აღიარებენ. შესანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ეს ჩვეულება დაცულია იმ საეკკლესიო საზოგადოებებშიაც კი, რომლებიც მე-5—6 საუკუნეში განრინებულან მართლ-მადიდებელი ეკკლესიიდან. მაგ. სომხებში, მარონიტებში, იაკობიტებში და სხ. ცხადია, რომ ეს ჩვეულება ამ უკანასკნელთ მართლ-მადიდებელ ეკკლესიასთან ერთობის შემდეგ შერჩენიათ. გარდმოცემის მოწმობით ეს ჩვეულება არსებობს მოციქულების დროიდან და დაწყებული მოციქულთ სწორის მარიამ მაგდალინელისაგან. ქრისტეს ამაღლების შემდეგ იგი მოგზაურობდა სხვა-და-სხვა ქვეყნებში და ქადაგებდა სახარებას, იგი რომშიდაც იყო. ის იქ წარსდგა რომის იმპერატორის ტიბერის წინაშე, და მიუტანა რა მას წითელი კვერცხი უთხრა: „ქრისტე აღსდგა“—მერე კი დაიწყო ქადაგება. მარიამის მაგალითს წაბაძეს სხვა ქრისტიანეთაც და ამნაირად შემოიღეს წითელი კვერცხის მიკვლევა აღდგომის დღეს. ამ გარდმოცემის სინამდვილის დასამტკიცებლად უჩვენებენ ერთ ბერძნულ ხელნაწერს მე-10 საუკუნისას, რომელიც ინახება წმ. ანასტასეს მონასტერში, სოლუნის მახლობლად. ეს ხელთნაწერი შეიცავს საეკკლესიო ტიბიკონს, რომელშიდაც საღდგომო ლოცვის შემდეგ სწერია: „იკითხება ეგრეთვე ლოცვა კვერცხებისა და ყველის მოსაკურთხებელი, იგუმენი კი ეამბორება რა ძმათა, ურიგებს კვერცხს და ეუბნება: „ქრისტე აღსდგა!“ ასე მივიღეთ ჩვენ წმ. მამანებისაგან ეს ჩვეულება, რომლის დასაბამიც მოციქულთაგან არის. რადგან წმიდა მოციქულთ სწორმა მარიამ მაგდალინელმა პირველმა უჩვენა მორწმუნეთ მაგალითი ამ წმიდა და სასიხარულო მიმკვლევისა.

ეს ჩვეულება შემოვიდა ხმარებაში არა თუ მარტო ძველების მიბაძვით, მას კიდევ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

პირველ ყოვლისა, საღდგომო კვერცხი უნდა ყოველ ჩვენთაგანს გვაგონებდეს ქრისტეს აღდგომას და ეგრეთვე მომავალ ჩვენ აღდგომას, რადგან როგორც კვერცხიდან, მისი ნაჭუჭიდან იბადება სიცოცხლე, რომელიც სრულიად იყო მასში დამალული, ეგრეთვე კუბოდან—სიკვდილის და განხრწნის საცხოვრებელიდან აღსდგა ცხოველ-მყოფელი და ოდესმე აღდგებიან მკვდარნიც. ამნაირად,

როდესაც ჩვენ ვუკვლევთ ერთი-ერთმანეთს წითლად შეღებილ კვერცხს, ამით ჩვენ გამოვხატავთ რწმუნებას ქრისტეს აღდგომაში და მომავალ საერთო აღდგომაში.

მეორეც ის, რომ კვერცხი ძლიერ გრძნობიერი გამომხატველია ჩვენი სულიერ წარმოშობისა. ყველა ადამიანები, სანამ იგინი ზეგარდმო მადლით არ გამოიწვევიან საარსებოთ, ემსგავსებიან უსიცოცხლო კვერცხს. მაგრამ, როგორც კვერცხიდან სითბოს საშუალებით იჩეკება ცოცხალი არსება, აგრეთვე ჩვენ ბუნებას „მკვდარს შეცოდებათაგან“ ქრისტე ცხოველსყოფს თვისი მადლით.

მესამეთ, შესამჩნევია სააღდგომო კვერცხის ფერი. თვისი წითელი ფერით იგი გვაგონებს ჩვენ ჯვარზედ დანთხეულ სისხლს უბიწო ზვარაკის ქრისტესაგან, რომლითაც იმან გადარეცხა ჩვენი შეცოდებანი და გვიხსნა ჩვენ საუკუნო სიკვდილისაგან.

როგორ გავაშენე მე სასულიერო ბაღი.

ჩვენი სემინარიის უკანასკნელი კლასი ორ-ჯგუფად იყო გაყოფილი. პირველ ჯგუფს ეკუთნოდენ აკადემიაში და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში მიმავალნი, მეორეს კი—სოფლელი მოძღვრის მშვიდი ცხოვრების მოტრფიალენი.

ამ მეორე ჯგუფის სატრფიალო საგანი, რომელსაც მეც ვეკუთვნოდი, მშვიდი ხასიათის იყო. ტრფიალებისა და მეგობრული ბაასის საგნები სხვადა-სხვა ნაირი იყვნენ: საკოლეები, სამრევლოები, სასოფლო მოღვაწეობა, ესე იგი ქადაგება—დამოძღვრება, საღმრთო სჯულის და საერთოდ მასწავლებლობა, მღვდელ-მოქმედება, მეოჯახეობა და სხ.

საერთო ინტერესებმა და გულ-ახდილობამ ჩვენ ძლიერ მჭიდროდ დაგვაკავშირა ერთი-ერთ შორის სემინარიის გათავების ხანს. გამოთხოვების დროს ჩვენ ვუსურვებდით ერთი-ერთმანეთს სასულიერო სარბიელზედ ნაყოფიერ მოღვაწეობას, სადაც ასე ბევრი სამუშეერია.

ბოლოს, ჩვენი მისწრაფებანი ხორციელდებიან —ჩვენ წინ სასურველი მიზნებია. თავში მთელი გროვაა გეგმებისა სოფლის გარდასაქმნელად; რაღაც ძალასა გრძნობ, რომლითაც ლამობ ერთი მძიმე ტვირთის ამოძრავებას.

როგორც კი დავბინავდი მე ჩემს პირველ სამრევლოში, ხეხილის ბაღის გაშენებასთან ერთად სასულიერო მტილის გაშენებასაც შეუდექი. არ ვიცი ყველანი ჩემი ამხანაგებიც ასრე შეუდგნენ საქმეს თუ არა, მე კი მწყუროდა მოკლე დროში მეხილა ჩემი სამწყსო: ღვთისნიერი, პატიოსანი, ფხიზელი, საზოგადოდ, კეთილ-განწყობილი ყოველ მხრივ,—რაც შეიძლებოდა საჩქაროდ დავმტკბარიყავი ჩემი მოქმედების ნაყოფით. მე დავადექი მამხილებელ ქადაგებას. საეკლესიო კათედრიდან მე საჯაროდ ვკიცხავდი ისეთ უზნეობას, როგორც მაგ. ლოთობა, ქურდობა, ცრუ-მორწმუნეობა, ოჯახური უთანხმოება, ლანძღვა-გინება და სხ.

როდესაც დავინახავდი მთვრალს, გააფთრებული ვეცემოდი და სასტიკად ვკიცხავდი მას ურჩობისათვის, ვაჯარიმებდი მას ეკკლესიის სასარგებლოდ და სხვა.

გაიარა ერთმა, ორმა წელიწადმა, მაგრამ არა თუ ნაყოფი, არამედ კუკურიც არ გამოჩნდა ჩემი მოქმედებისა. სამწყსო არ მიახლოვდებოდა, პირიქით ლოთები და ქურდები სრულებით მიფრთხოდენ მე და საახსარებოთაც არ მოდიოდენ.

—ჯავრობს ძლიერ ჩვენი მოძღვარი—ასე ამბობდა ჩემზედ სამწყსო.

ოჰ, რა უმადური სოფელია, ვფიქრობდი მე,—მე ყოველ ღონისძიებას ვხმარობ უზნეობის აღმოსაფხვრელად. სამწუხაროდ, მე მარტოდ მარტო ვიყავი, მეზობლები ალმაცერად უყურებდნენ ჩემს მოქმედებას—ვინმესთან მოლაპარაკება შეუძლებელი იყო. ერთი სიტყვით, ამ ეკლიან გზაზედ მსვლელობის დროს მე ვერ ვიპოვე მ. პავლე, რომელმაც ისე უბრალოდ და გულწრფელად დამანახვა ჩემი შეცდომანი ხეხილის ბაღის გაშენებაში.

და აი, მე თითონ შევეცადე სასულიერო მტილის გასაშენებელი ზომების გამოძებნას. მაგრამ ამ საგანზედ ფიქრმა ვერ დამამშვიდა. მაშინ მივმართე მე საღმრთო სიბრძნის დაუშრეტელ წყაროს—ღვთის სიტყვას.

რომელიც თქვენგანი უცოდველია, პირველმა ესროლე მას... (1. 8, 7). რასათვის მეზვერეთა და ცოდვილთა თანა სჭამს მოძღვარი თქვენი?.. არა უხმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა... წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი... (მათ. 9, 11—13). დაღათუ შვიდ გზის დღესა შინა შეგცო-

დოს, და შვიდ გზის მოიქცეს და გრქვას შენ: შევინანე, მიუტევე მას... (ლუკ. 17, 4). ენას ღა თუ კაცთასა და ანგელოსთასა ვიტყოდე, ხოლო სიყვარული არა მაქნდეს; ვიქმნე მე ვითარცა რვალი (1 კორ. 13, 1). სიყვარული სულ-გრძელ არის და ტკბილ, სიყვარულსა არა ჰშურნ, სიყვარული არა განლაღნის... ძმანო! უკეთუ ვინმე დაეპყრას კაცი, რომელსამე ბრალსა, თქვენ სულიერთა მაგათ დაამტკიცეთ ეგე ვითარი იგი სულითა მით მშვიდობისათა (გალ. 6, 1).

რაც უფრო ღრმად უკვირდებოდი მე ამ სიტყვებს—ყველაფრის მპატიებელი სიყვარულისას, მით უფრო მრცხვენოდა ჩემი თავის, ჩემი წინანდელი მოქმედების, რომელიც უაზრო და უგულო იყო. მე დავრწმუნდი აშკარად, რომ ცოდვილი—ავადმყოფი კაცია, ცოდვები—ავადმყოფობანი, მაშასადამე მათი მორჩენა სასჯელით კი არ შეიძლება, არამედ მტკივან ადგილებზედ მალამოს დადებით—ყოვლად მპატიებელი სიყვარულის მალამოსი. საუკეთესო საშუალებათ ცოდვებისაგან განსაკურნებლად ვსცანი გამაფრთხილებელი ზომები, ე. ი. სანიტარული, რის მიღწევა შეიძლება მოზარდი თაობის ქრისტიანული აღზრდით. სასულიერო სანიტარის სამოქმედოთ ამ შემთხვევაში—სკოლებია, მხოლოდ მათი ფორმალიზმით კი არა, არამედ ქრისტიანული ჭეშმარიტებათა მტკიცე განმარტებით: ღვთისადმი მტკიცე აღსარებით, მის მოწყალებაზედ დამყარებით და ქრისტიანული სიყვარულის სიწმიდით, რომელიც „უდიდესია ქვეყნად“.

როდესაც საქმეზედ ასეთი შეხედულებით ვიხელმძღვანელე, როდესაც ჩემი სულიერი შვილები გახდნენ საგნად ჩემი მზრუნველობისა დაბადებიდანვე და განსაკუთრებით კი—ცნობის მოყვარეობის აღძვრიდამვე, ჩემი სამწყსოც გაიზარდა და გაჯანმრთელდა. შემდეგ მე სიხარულით დავინახე ჯერ ყვავილები, მერე კი ნაყოფები ჩემი მოქმედებისა—სიყვარული სამწყსოისა ჩემდამი, ბეჯითი სიარული ეკლესიაში, და ურთიერთ შორის თანაგრძნობა გაჭირვებაში და სხ. ხმელი შტოები მწვანეშიდ იშვიათად მოსჩანდნენ, ზოგან კი სამუდამოდ გაქრენ. ჩემი გაჯავრებულად წოდება გამოვიდა ხმარებიდან. ჩემდამო ნდობა და პატივისცემა სამწყსოისა, მაძლევს ნებას ვიმედოვნებდე, რომ ახლო მომავალში დავინახავ ჩემს სასულიერო მტილს კეთილ განწყობილად და თავის დროზედ ნაყოფის მომცემად...

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან დღესასწაულობითი წირვა შიომღვიმის მონასტერში 21 წარსული ოქტომბერვალს, 1902 წ. ექვლიერის ხუთშაბათს.

გაგრძელება *).

მონასტრის ტაძრების შეკეთების გარდა, აგებულია ახალი შენობა ათ-ოთახიანი, რომელიც იხმარება ბერებისა და მლოცველთა სადგომებად; ძველი სადგომის ადგილას აგებულია ახალი შენობა 7 ოთახიანი, რომელშიდაც მოთავსებულია ბერ-მონაზონთა სასადილო, სამზარეულო და სახაბაზო. კოშკი, რომელიც წინად მონასტრის შემოსავალში სიმაგრეს შეადგენდა, გადაკეთებულია წინამძღვრის დარბაზად. ამ კოშკის მახლობლად, იმ ადგილას, რომელზედაც წინად სახაბაზო იყო, მოწყობილია დიდი აუზი წვიმის წყლისათვის, რადგან იგი საჭიროა შენობათა ასაგებად, მით უმეტეს, რომ მდინარე მტკვარი მოშორებით არის. იოანნე ნათლის-მცემლის ტაძრის ეზოში გაშენებულია პატარა ბაღი ერთ-ერთ ბერ-მონაზონისაგან; ამ პატარა ბაღში დარგულია სხვადა-სხვა ხეხილები—კაკალის, ბალის, ნუშის, სხლის, ვაშლის, ქლიავის, ბიის, თხილის და სხვ. იმ გზის პირებზედ, რომელიც იოანნე ნათლის-მცემლის ტაძრის ეზოში შემოდის, დარგულია კამელიები, რომლებიც ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესაგან არის გამოგზავნილი, აგრეთვე ყვავილები, მაგნოლიები და კავკასიური ტირიფი; მიძინების ეკლესიის მახლობლად, ჩრდილოეთის მხრივ მოწყობილია სკები და აქვე დარგულია თაფლის მძლევი ხეები და ბალახი. მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ, მაღალ გორაკზედ აგებულია საყდარი სამრეკლოთი ცხოველ-მყოფელი ჯვრის სახელობაზედ; შიგნით ეს პატარა ეკლესია მოხატულია ძველებური მხატვრობით, რომელიც კიდევ შენახულია; საკურთხევლის თაღები გაბზნილია, თუმცა საშიშო არა არის რა. ეტვს ვარეშეა, როგორც კი დაამთავრებენ მონასტრის შენობათა შეკეთებას, ამ ეკლესიასაც განაახლებენ; ამ ტაძრის აღმოსავლეთის მხრივ ორი

*) იხ. „მწყემსი“ № 4, 1903 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვაბულია, რომელშიდაც ღირსი ბესარიონი სცხოვრობდა და რომელიც მოკლულ იქმნა ყაჩაღთაგან 1827 წ. ამ მთიდგან საღცხოვო სურათს წარმოადგენს მდინარე მტკვრის ხეობა და შიომღვიმის მონასტერი, რომელიც მწვანითაა გარემოცული.

ასეთია დღევანდელი სურათი შიო-მღვიმის მონასტრისა, ყველაფერი განახლებულია, გაცოცხლებული; ყველგან და ყველაფერს სიცხოველე ეტყობა. ბევრნი, რომელთაც მონასტერი წინად უნახავთ, ეხლა ვეღარც კი სცნობენ; ტაძარი, რომელიც წინად ნანგრევებს წარმოადგენდა და რომელიც ღამურების ბუდეთ იყო გადაქცეული, დღეს განსპეტაკებული და განახლებულია, ნაცვლად ღამურების წრიპინისა, ეხლა მწყობრი საეკლესიო გალობა ისმის, ყოველივე ეს დიდ სიხარულს აგრძნობინებს მართლ-მადიდებელს; ნაცვლად მინგრეული ქოხებისა, ეხლა დიდი შენობებია თბილი და სუფთა სადგომებით. წინანდელი გზა-წვრილის მაგიერ, სწორი, განიერი გზა არის. ყოველივე ეს კი, ყოვლად სამღვდელოთა—ალექსანდრე და ლეონიდის დაუღალავი შრომისა და სიყვარულის ნაყოფია. აქ, ამ მღვიმეში, რომელიც განთქმულია წმ. მამათა მოღვაწეობით, რაღაც ღვთისადმი სიყვარულსა და სიახლოვეს გრძნობთ, ბრწყინვალე მოგონებანი სასიამოვნო გრძნობებით ავსებენ ადამიანის გულს.

ხანგრძლივი სიარულით მოქანცულ მლოცველს მონასტრის ბერ-მონაზნობა სტუმართ მოყვარულად უხვდება; მლოცველთა მოსამსახურედ დანიშნულ მორჩილს მიყავს იგინი წინად მომზადებულ ოთახში, დგამს სამოვარს, მოუმზადებს ჩაის ჭურჭელს, თუ კი საჭიროა საჭმელსაც, ღამით კი სუფთა საწოლს უგებს. დიდად ნასიამოვნები მლოცველები, მოისმენენ რა ადგილობრივ ბერთაგან მონასტრის წარსულ და აწინდელ ისტორიას, მადლობენ უფალსა, ღირს შიოს და მათ აღრჩეულს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს და მიემგზარებიან მონასტრიდგან. ისინი მოუთხრობენ თავიანთ ნათესავთ და ნაცნობთ მონასტრის სანახაობას, უზიარებენ იმ სასიამოვნო შთაბეჭდილებებს, რომელსაც მონასტრის ბრწყინვალე მდგომარეობა ახდენს მათზედ; მათდა სასიქადულოდ უნდა ვსთქვათ, რომ ასეთ გადაცემას კარგი შედეგი მოსდევს; სულ ახალ-ახალი მლოცველნი მოდიან მონასტერში. ბევრ მლოცველთაგანს ისე აქვთ შეყვარებული მონასტერი, მისი მწყობრი ღვთის-მსახურებისათვის, რომ ძლიერ ხშირად მოდიან სალოცავად, ასე რომ იგინი თამამად ჩაითვლებიან შიომღვიმის მონასტრის შემავალად.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე და ლეონიდი მარტო მონასტრის განახლებისათვის კი არ ზრუნავენ, იგინი დიდ ყურადღებას აქცევენ მონასტრის ქონებრივ მხარეს. შიო-მღვიმის მონასტერი, როგორც შტატ-გარეთი, ხაზინიდგან არ ღებულობს დახმარებას; ზემოდ აღნიშნული თანხის 23,400 მ. სარგებელი კი ჯამაგირების ფულებად ითვლება, რაიცა შეადგენს 60—80 მ. წელიწადში, ამითი კი შეუძლებელია მონასტრის შენახვა. ამიტომ მონასტრის განახლებიდგანვე ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცა, მიუხედავად იმ სიძნელეთა, რომლებიც წინ ეღობებოდნენ ყოვლად სამღვდელო ლეონიდს და ალექსანდრეს. როდესაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა ჩაიბარა მონასტერი, იქ სრულებით არ იყო მუშა საქონელი. ყოვლად სამღვდელომ მიმართა ქართველთ მართლ-მადიდებელ ეკკლესიის შვილთ შემწეობისათვის, მადლობა ღმერთს, რომ გამოჩნდნენ მრავალნი, რომელთაც შემოწირეს მონასტერს: კამეჩები, ხარები, ძროხები, ცხენები, ვირები, ურმები, სახნისები და სხ. ბევრმა სახლის საშენი ფიცრებიც შესწირეს. ამ კეთილ-მორწმუნეთა სახელები ჩაწერილნი არიან მონასტრის კონდაკში და ყოველ წირვის დროს იხსენებიან. მონასტერმა დაიწყო პურის მოყვანა, მაგრამ ძლიერ ცოტა, რადგან საქონელი მარტო ასაშენებელ მასალათა ზიდვას უნდებოდა. პური არ ყოფნიდათ ბერებსა და მუშებს; ეხლაც კი, როდესაც მონასტერში ცოტა რამ დარჩა გასაკეთებელი, ყოველ წლივ მუშებს უნდებათ 400 ფუთი პური. ამიტომ, რომ მონასტრის სვე-ბედი გაუმჯობესებული ყოფილიყო, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ ს. მუხრანში იყიდა 6000 მ. წისქვილი ორ-თვალიანი. ეხლა წისქვილის შემოსავლით მონასტრის ბერებიც და მუშებიც გამოიკვებებიან; ეხლა უფრო ფართოდ შეიძლება პურის მოყვანა, რადგან მონასტრის ადგილები გაწმენდილნი არიან ჩიგვნარებისა და ნანგრევებისაგან. ზედმეტი პური შეიძლება გაიყიდოს და ამით მონასტრის შემოსავალმაც იმატოს, რომელიც წელიწადში მხოლოდ 300—400 მ. შეადგენს, აქამდის არსებული პურის მოკრება სოფლელთაგან, რასაკ-

ვირველია მოისპობა. მონასტრის შემოსავლის გასაძლიერებლად ამ ჟამად ნასწავლი მეღვინეს ხელმძღვანელობით შეუდგნენ ამერიკანული ვაზის გაშენებას მონასტრის ახლო ეგრედ წოდებულ „დეკანიანი“-სა და „ნიშის მინდორი“-ს დობილოებში.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე არ ივიწყებს მის საყვარელ მონასტერს; არაფერს ვიტყვით შემოწირულებებზედ, რომელიც მისგან არ აკლია მონასტერს. ყოველივე ხეხილი, რაც კი ყოვლად სამღვდელოს მოეწონება, მონასტერში უნდა გააშენოს.

ასეთია ისტორია შიო-მღვიმის მონასტრისა, რომელიც ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესაგან იქმნა განახლებული. ამ ძველი სავანის განახლების საქმე, რომელიც ბევრს მხოლოდ მოხუცი მწყემსთმთავრის ოცნებათ მიაჩნდათ, უკვე სისრულეშია მოყვანილი...

(გაგრძელება იქნება)

«მწყემსის» კორრესპონდენციები.

~~სოფ. ძმუისი (ქუთ. მაზ.).~~ ამ სოფლით თავდება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით ქუთაისის მაზრა და იწყება ერთის მხრით ლეჩხუმის და მეორეს მხრით რაჭის მაზრები. ეს სოფელი შორავს ქუთაისიდგან 25 ვერსტ. და მგონი, მთელ ქუთაისის მაზრაში ამისთანა გაუნათლებელი სოფელი სხვა არც კი უნდა იყოს. ძმუისს ჯერ განათლების ერთი ნაპერწკალიც კი არ მოხვედრია; აქ არ არსებობს არც ერთი შკოლა, არც სამინისტრო და არც სამრევლო; აქაურმა ბავშებმა შკოლის სახელიც კი არ იციან. მართალია ს. გურნაში არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო შკოლა, მაგრამ ძმუისელი ბავშვები იქ ვერ დაიარებიან სიშორისა გამო (8—9 ვერს. შორავს ძმუისს ს. გურნა), და ამნაირად ძმუისელი ბავშვები, სწავლა-განათლებას სრულებით მოკლებულნი არიან. მთელი სოფლიდგან, რომელიც შესდგება 82 კომლისაგან, მხოლოდ ერთი მოსწავლე ყმაწვილია, რომელიც ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობს. მე მინდოდა, რომ გამეხსნა სამრევლო შკოლა, მაგრამ ჩემი ბინის უმექონებლობისა გამო, ყოველგვარ საქმეს მოკლებული ვარ. მე ამ სოფელში გამამწესა მღვდლად მ. მ. ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა წარსული 1902 წლ. ნოემბრის თვეში; ვფიქრობდი, როგორც დავბინავდები, მალე შკოლის გახსნის საქმეს შეუდგებითქო, მაგრამ, საუბედუროდ, მთელ სოფელში ერთი ორ ან ერთ-თვალიანი სუფთა სახლი არ მოიპოვება, რომელშიაც შეეძლოს მღვდელს და მის ოჯახობას დაბინავება. ყველას აქვთ ძველებური „აფრიანი“ სახლები; ამისთანა სახლები არიან სუყველგან თითო თვალი, უჭერო, უიატაკო, უფანჯრო, უბუხრო, შუა სახლში ანთია ცეცხლი, კვამლი სვეტებივით სდგას შიგ, ქარი და სიცივე ყოველი გვერდიდგან შამოდის სახლში; ეს არის იმის მიზეზი, რომ ხშირად ავად ხდებიან აქაურები და უდროოდ ესალმებიან წუთი-სოფელს; სწორედ რომ ვსთქვათ, აქაურები უსახლოდ ცხოვრობენ. ბევრჯელ ვსთხოვე მე მრევლს, რომ აეშენებიათ თუ მეტი არა, ორთვალიანი საეკლესიო სახლი მაინც, და როცა მე ჩემის ოჯახობით დავბინავდებოდი ამ სოფელში, მერე შემეძლო ცოტა რამ გამეკეთებია ხალხის სასარგებლოდ, მაგრამ ვერაფერი ვერ შევასმინე მათ. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ ძმუისელები შეძლებულნი არიან და ღარიბი ერთიც არ ურევია მათში. ათასგვარი ცრუ-მორწმუნეობისა, რომელიც ძველის დროიდგან დარჩენილა ამ სოფელში, ჩამოთვლაც კი არ შეიძლება. საცოდავია ამისთანა ხალხი და ყურადღების ღირსია, მაგრამ აყრილმა და უბინავო კაცმა რა უნდა გააკეთოს... ყოველი მღვდელი, თუ მას უნდა რომ რაიმე სარგებლობა მოუტანოს თვის სამრევლოს, თუ მას სურს, რომ მისი შრომა ნაყოფიერი იქნეს მრევლისათვის, მუდამ უნდა ცხოვრობდეს მრევლშიდ და მას დიდის ხნით არ უნდა ცილდებოდეს. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, მე ვცხოვრობ ძმუისში, ჩემი ოჯახობა კი სოფ. დიმში (ქ. მ.), რომელიც დაცილებულია ძმუისზედ არა ნაკლებ 70 ვერსისა; ჩემს ოჯახობაზე რომ მე ხელი ავიღო და თვეში ერთხელ მაინც არ ვნახო ხოლმე იგი, არც ეს ივარგებს, წავიყვანო მრევლში და სად დავბინავდე?! ერთი კაცის და ხუთის ბინა ერთი არ არის. ვიარო ძმუისსა და დიმს შუა ყოველ თვეში,—არც ეს ივარგებს, თითო კვირა მარტო მგზავრობას უნდები აქეთ-იქით. მათმა მეუფებამ ფიცხელი განკარგულება მოახდინა საეკლესიო სახლის გაკეთების შესახებ ჩემ სამრევლოთაგან, მაგრამ ჯერ ძლიერ უარზე დგანან და არც

შემდეგში უნდათ რომ გააკეთონ, ზედ-მეტ ბეგარათ სთვლის ხალხი მღვდლის სახლის გაკეთებას. ძლიერ კარგი და სასურველი იქნებოდა, რომ სასულიერო მთავრობას, ამისთანა მიყრუებულ სოფლებში, სადაც საქირავო სახლი არ იშოვება, მღვდლების სახლების აშენებაზე მრევლთაგან ეხმარებოდეს საერო მთავრობაც და ზოგან, სადაც მრევლი თითონ არ ისურვებს, ძალითაც აკეთებინებდენ; ჩვენც კაცები ვართ, ჩვენც ისე გვჭირდება ბინა და სხვა, როგორც სხვა მოსამსახურეთ.

ძმუისის სამრ. მღ. მიხ. ჩიქვინიძე.

ალდგომას.

(ვუძღვნი ტიტიკოს).

საქართველოს ტურფა მთა-ველს
გარს ეკვლება ბადრი მთვარე,
დასავლეთით მიქანაობს
ზირმტინარი, მოძღიმარე.

—

ალმაცერად გადასტქერის
ტაძრის ეკეპათს, ნამით ნაბანს,
ტუე-ველში კი, ხეებ შუა
მკრთალ სინათლის ქსელსა ბამს.

—

მაგრამ ჩასვლას არ აბირობს,
თუმც სვლის კანონს ადარ არდვევს,
სრულის გრძნობით თავის სხივებს
უკან ისვრის, უკან აბნევს.

—

გულის ტოკვით უცდის მთვარე
მზის ამოსვლას, დღესასწაულს
და ალდგომის სიხარული
სხვებთან ერთად სწვდება მის გულს.

—

აჭა კიდეც დის მნათობმა
გააწითლა ერთი მხარე,
თვისი შუქი გადმოსტეორცნა,
გაანრწყინვა არე-მარე.

—

მნათობს აყვნენ ფრინველები
და დაიწყეს ერთად ლხენა,
„რადაც დღესასწაულია,
არ გვმართებსო ჩვენც მოწყენა!..“

—

„ქრისტე ადსდგა!“—ტყეს და ველს
ეს ხმა მარტო ესმის ტკბილი,
„ჭეშმარიტად!“—და მთვარესა
მზემ უცვალა მისი ჩრდილი.

—

აჭა მთვარეც, ბადრი მთვარეც
უკანასკნელ სხივებს კარგავს
და ამ ქვეყნით კმაყოფილი
ძირს ეშვება, თავს იყარავს...

ეგიმარიონი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მართებლობის უწყებაში არის დაბეჭდილი:

პეტერბურგის ქალების სამედიცინო ინსტიტუტში ჯერ ისევ თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში არა ჩვეულებრივი აღელვება ეტყობოდა ინსტიტუტის მოსწავლე ქალებს. აღელვების მიზეზი იმ წესის პროექტის გამოცხადება იყო, რომელიც შეეხებოდა გადასაყვან ეგზამენებს ინსტიტუტში. აღელვება თანდა-თან ძლიერდებოდა და 10 მარტს სანანატომიო აუდიტორიაში უკანონო ყრილობა მოხდა; შეიკრიბა 600-მდე მოსწავლე ქალი. დირექტორის და სამოსწავლო ოლქის მზრუნველის დარიგებას შედეგი არა მოჰყვა რა, და ყრილობამ სამ საათს გასტანა. რადგან მოსწავლენი თავისას არ იშლიდნენ და იკრიბებოდნენ იმ აზრით, რომ პროტესტი გამოეცხადებინათ ინსტიტუტის საბჭოს მიერ შემუშავებულ და საერო განათლების სამინისტროს მიერ 8 მარტს დამტკიცებულ წესების წინააღმდეგ, ამიტომ 11 მარტიდან ახალ განკარგულებამდე ინსტიტუტში სწავლა და მეცადინეობა შესწყვიტეს. ყრილობაში მონაწილეობის მიმღებნი პროფესორთა სადისციპლინო სამართალში მისცეს. საქმის განხილვის შემდეგ, სასამართლომ 345 მოსწავლე ქალს სასჯელი გადაუწყვიტა, რომელთაგან 28 ქალს მიუსაჯა სხვა-და-სხვა სასჯელი, ისეთი სასჯელი-კი, რომელიც თუმცა შენიშვნის გამოცხადებას აღემატება, მაგრამ ინსტიტუტიდან გამორიცხვას მაინც არ უდრის. დანარჩენ 317 ქალს გადაეწყვიტა შენიშვნის გამოცხადება. 28 ქალი, რომელნიც უფრო შენიშნულნი იყვნენ დირექტორმა დაიბარა განაჩენის გამოსაც-

ხადებლად. მაგრამ ამათგან 27 ქალი დირექტორის წინადადებას არ დაემორჩილა. საერო განათლების სამინისტროს გამგემ მოსწავლე ქალთა ასეთი საქციელი არამც თუ განზრახ დისციპლინის დარღვევად სცნო. არამედ ქალებმა თავიანთის საქციელით დემონსტრატიულად განაცხადეს, რომ პატივს არა სცემენ პროფესორთა სამართალს და არა ჰსურთ დაემორჩილნენ კანონიერ წესსაო. ამის გამო სამინისტროს გამგემ საჭიროდ სცნო ამ 27 ქალთაგან ზოგის დათხოვნა. 27 მარტს ინსტიტუტში სწავლა ხელ-ახლა დაიწყო.

პეტერბურგის უნივერსიტეტში წესიერება დაირღვა 18 მარტს, თუმცა სწავლა ამ დღეს არ შეწყვეტილა. 18 მარტს შეიკრიბა 500-მდე სტუდენტი (უნივერსიტეტში სულ 4,000 სტუდენტია); ამათ უთუოდ წინადვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ყრილობა. ეს სტუდენტები 12 საათზე შევიდნენ უმთავრეს კარით კიბის აივანზე საკატო ზალის პირდაპირ, სადაც ყრილობა მოახდინეს. ინსპექციამ მოსთხოვა დაშლილიყვნენ, მაგრამ შეკრებილნი არ დაემორჩილნენ. მოვიდნენ რექტორი და სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და ცდილობდნენ წესიერების აღდგენას, მაგრამ სტუდენტები იმათ სიტყვებს და დარიგებას ყვირილითა და უმართებულო პროტესტით მიეგებნენ. ყრილობამ ორ საათს გასტანა. სალაპარაკო საგნად ყრილობას ის უწესობა ჰქონდა, რომელიც რამდენისამე დღის წინად ქალების სამედიცინო ინსტიტუტში მოხდა; აგრეთვე ისეთი საგნები, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს უნივერსიტეტის ცხოვრებასთან. ამის გამო 68 სტუდენტის წინააღმდეგ, რომელნიც დაესწრნენ ყრილობას, საქმე აღიძრა პროფესორთა სადისციპლინო სასამართლოში. ამასთან სასამართლოში საქმის წესიერად წარმოებისათვის და აგრეთვე იმათ დასაცველად აგიტაციისაგან, ვისაც 18 მარტის უწესობაში მონაწილეობა არ მიუღიათ (შესაძლებელი იყო, აგიტატორებს ყოველი ღონე ეხმარათ, რომ ხელ-ახლა უკანონო ყრილობა მოეხდინათ), სწავლა უნივერსიტეტში დროებით შესწყვიტეს, ისევე, როგორც ქალების სამედიცინო ინსტიტუტში მოხდა 10 მარტის ყრილობის შემდეგ. პროფესორთა სასამართლომ განიხილა საქმე ამ 68 სტუდენტისა, მოისმინა მოწმეთა ჩვენებანი, აგრეთვე განმარტებანი იმ ბრალდებულთა, რომელნიც სასამართლოში გამოცხადნენ, და დაადგინა: ოთხი სტუდენტის შესახებ საქმე შეაჩეროს ამ სტუდენტების ავადმყოფობისა ოა უწყების დროზე ჩაუბარებლობის გამო; 4 სტუდენტი უდანაშაულოდ იცნას; დანარჩენი 60 სტუდენტი დამნაშავედ იცნას ყრილობაში მონაწილეობის მიღებისათვის. ამათგან, დანაშაულობის დაგვარად, სასამართლომ გადაუწყვიტა: 14 სრულიად დათხოვნა უნივერსიტეტიდგან, ისე კი, რომ უმაღლესს სასწავლებელში შესვლის უფლება არ ჩამოერთვათ, სასჯელთა წესების მე-7 მუხლის ძალით; 21 სტუდენტს დროებით დათხოვნა უნივერსიტეტიდან, სახელდობრ: 7 კაცს—1904 წლის 15 აგვისტომდე და 14 კაცს—1903 წლის 15 აგვისტომდე; 7 ს ზნეობრივად გაკიცხვა და თავისუფალ მსმენელთა რიცხვში ჩარიცხვა; 4-ს თავისუფალ მსმენელთა რიცხვში ჩარიცხვა; 12 სტუდენტს საყვედური და 2 სტუდენტს—შენიშვნა. ეს განაჩენი სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ დამტკიცების შემდეგ, აასრულეს. 28 მარტს ხელ-ახლა გაიხსნა უნივერსიტეტის წიგნთ-საცავი, კანცელარია და ზოგიერთი ლაბორატორია, აგრეთვე სადგომები სამეცნიერო საზოგადოებათათვის. საადგომო ვაკაციების მოახლოების გამო (ვაკაციები იწყება 30 მარ.), ლექციებს აღარ წაიკითხავენ უნივერსიტეტში, მაგრამ ეგზამენები მოხდება დამტკიცებულ და გამოცხადებულ წესის თანახმად.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, როგორც „ბრავ. ვესტ.“-შია გამოქვეყნებული, უქმდება გორის სოსტატო სემინარიასთან არსებული რუსულ-ქართული და სომხური ბირველ-დაწყებითი სასწავლებლები. იმათ ნაცვლად უნდა დაარსდეს რუსული ორ-კლასიანი სასწავლებელი.

*** ამ წლის ბირველ სექტემბრიდან სოხუმში გაიხსნება რეალური სასწავლებელი.

*** 29 მარტს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ წარუდგინა გუბერნატორს მოკლე ანგარიში თფილისის საბადოსნო შკოლის შესახებ. როგორც ამ

ანგარიშიდან ჩანს, სიბნდოსნო შკოლაში შარშან ეოფილა 41 მოსწავლე: აქედან ქართველი—16, სომეხი—18, რუსი—5, თათარი—1 და ლეკიც—1. სკოლაზე 1902 წელს დაუხარჯნიათ 14,904 მან. 60 კაპ.

*** კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა აუწყებს იმათ, რომელთაც სურთ დაბეჭდილ წიგნებიდან შემოსავლის ან იმის ნაწილის შემოწირვა, წინდაწინ „სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“ გამგეობას დაეკითხონ და მისგან თანხმობა მიიღონ წიგნის ყდაზე შესაფერი განცხადების ადბეჭდვისა, ამასთანავე უნდა გამოაცხადონ, რამდენი ცალი დაიბეჭდა იმ გამოცემისა.

*** „ნოვ. ობ.“-ს საინტერესო ამბავს ატეობინებენ ქუთაისიდან. როგორც ბეტერბურგიდან უცნობებია, გზათა სამინისტრო თანაგრძნობით მიგებებია საკითხს რკინის გზის მეორე დიანდაგის გაკეთების შესახებ. ამ დიანდაგმა, როგორც ვუწყით, ქუთაისზე უნდა გაიაროს. ამ ამბის მიდებისთანავე ქალაქის მოურავის მოადგილე ბ. ი. გეგელსიანი თფილისს წამოსულა რკინის გზის გამგეობასთან მოსალაპარაკებლად.

ჩვენის აზრით, დიდი სასიხარულო არ არის მინისტრის თანაგრძნობით მიგება ამ საკითხზე. შეიძლება, რომ თანაგრძნობით მიეგებოს ამ ადგილზე გზის გაუვანლობასაც!..

*** როგორც „კავალს“ შეუტყვია, სამოსწავლო უწყებას განუზრახავს დაარსოს ტფილისში უმაღლესი სასწავლებელი სპეციალურის განყოფილებით, მხოლოდ იმ პირობით, თუ ქალაქი თავის მხრივ ეოველ წლობით გაიღებს ფულს ადნიშნულ სასწავლებლის შესანახად, რადგან სამეურნეო განყოფილებიან უმაღლეს სასწავლებლის შენახვაში ტფილისის მცხოვრებნი ვერ მიიღებენ მონაწილეობას. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო განიხილავს საკითხს, თუ როგორი უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსდეს ტფილისში, რომ სარჯში ქალაქის თვით-მართველობამაც მიიღოს მონაწილეობა.

*** ამ დღეებში გამოვიდა კატალოგი ქართულ ხელ-ნაწერებისა, რომელიც ინახება წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში. ეს კატალოგი მეტად ძვირფასი და საინტერესო ეგვლა ქართველისათვის, რადგან ზემოხსენებულ ბიბლიოთეკაში ბევრი იმდენი საინტერესო ხელთნაწერია, რომ უკატალოგოდ შეუძლებელია ისარგებლოს კაცმა. კატალოგი შეადგინა ბ-ნმა თაყაიშვილმა და ღირს ერთი მანეთი.

*** ამბობენ, რომ გორის სოსტატო სემინარია ტფილისში უნდათ გადმოიტანონ და მისთვის შენობა ააგონ ვერაზედ, სათავად-აზნაურო სკოლის და სასულიერო სემინარიის შენობის მახლობლადაო. სათანადო მთავრობას უხერხულად უცვნია გორში სოსტატო სემინარიის დატოვება. რასაკვირველია მასწავლებლებს თბილისში ცხოვრება ურჩევნიათ. ვინ გასწორა გორი და თბილისი?!.

*** ცნობილს გეოგრაფს ელიზ რეკლიუს წაუკითხავს სამის კვირის განმავლობაში ოთხშაბათობით სამი ლექცია ბრიუსელში ქართველთა შესახებ. მეცნიერი ლექტორი დიდის გულმტკივნეულობით ლაპარაკობდა თურმე ქართველთა შესახებ, გული უჩუყებოდა და კინაღამ ტირილი მოსდიოდაო. ამბობდა, რომ ქართველები დიდებული ხალხია, ბრწყინვალე წარსული აქვსო. ამისთანა ერი არ უნდა დაიღუპოს, უფლება აქვს სცოცხლობდეს, არსებობდესო. მაგრამ თვითონ თუ არ უნდა სიცოცხლე!..

*** 8 აპრილს, პირველ საათზე, სტეფანე და პეტრე კონსტანტინეს ძენი ზუბალაშვილნი და მათი დისწული პავლე იოსების ძე თუმანიშვილი იყვნენ სათავადაზნაურო სკოლის შენობის სანახავად. ეოველივე დაწვრილებით დაათვალიერეს და გაშინჯეს ბ-ნ ნ. ცხვედაძის თანადასწრებით. ძალიან ისიამოვნეს ნახულით და წასვლის დროს ბ-მა სტეფანე კონსტანტინეს ძემ ათი თუმანი გადასცა შენობის კანტორას მუშების დასასაჩუქრებლად. ფული მაშინვე დაურიგდათ მუშებს.

*** როგორც ხმები ისმის, სათანადო მთავრობას განუზრახავს თელავის სასულიერო სასწავლებლის ტფილისში გადმოტანა და შეერთება ტფილისის სასულიერო სასწავლებელთან. თელავის სასულიერო სასწავლებელი დაარსებულ იქმნა საქართველოს მეორე ექსარხოსის თეოფილაქტეს მიერ 1817 წელსა სიდნადის და თელავის მაზრის სასულიერო წოდების შვილთათვის.

*** სათანადო მთავრობას განუზრახავს სოხუმში დაარსოს საკუთარი ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი ათხაზეთის და სამურზაყანოს სასულიერო წოდების შვილთათვის.

*** 6 აპრილს, დამის 5 საათზედ, სამტრედიაში დაეცნენ ცნობილ მდიდარს—იორდანე სიხარულიძეს სამი ბორბოტ-მომქმედნი, გაცარცვა ვერ მოასწრეს და დასჭრეს. სიხარულიძე მეორე დღესვე ქუთაისში გაგზავნეს თოფურიას სამკურნალოში და პირველი დახმარებაც ადმოუჩინეს, მაგრამ მაინც გარდაიცვალა. დიდებულად წაასვენეს გურიაში დასამარხავად. ამის შემდეგ ბევრ მოსწავლე პირს მოაკლდება მისი შემწეობა.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება.

(გაგრძელება. იხ. „მწყემსი“ № 6).

მარტო კაცი, თუ მას ღმერთი არ ეწევა. როგორც ზემოდ ვსთქვით, ბოროტებას ვერ დაძლევს; ხოლო უფალი ყოველთვის მზად არის ადამიანს დაეხმაროს, თუ კი იგი ამას ისურვებს. არც ის შეიძლება, რომ ერთმა მხოლოდ ღმერთმა კაცის ბუნება თვის ძალით განწმიდოს, სრულ ჰყოს; არ შეიძლება იმიტომ რომ მაშინ ეს იქნება ძალ-დატანება, ~~თავისუფლებითის მნებელობის~~ წართმევა; და კაცი კი თავისუფალი არსებაა და ამ თავისუფლებით იგი ყველა სხვა ცხოველებისგან განირჩევა და მით მათზე მაღლა სდგას,—ეს ერთი. მეორედ, ღმერთმა რომ კაცის ბუნება მარტო თვისის ძალით გაასწოროს, განაკეთილოს, მაშინ ადამიანის კეთილ მოქმედებას არ ექნება ის ფასი და ღირსება, რომელიც აქვს მისს კეთილ-მოქმედებას მაშინ, როცა იგი იმას თვისის ნებით, თვისის ძალით იჩენს. წარმოვიდგინოთ შემდეგი მაგალითი. ორმა რომელიმე კაცმა საწყალს, ღარიბს შემწეობა აღმოუჩინა. პირველმა გამოიჩინა სიკეთე მას შემდეგ, როცა მას ბევრი ელაპარაკოს მოწყალება გამოელო; მეორე კი გაჭირვებულს თავის თავად დაუყოვნებლივ შეეწია. რომელ ამათთაგანის საქციელი უფრო მოსაწონია? —რა თქმა უნდა, მეორისა. ასე კაცის ყოველივე საქციელს იმდენად მეტი ფასი ედება, რამდენადაც მან მეტი თვით-მოქმედება გამოიჩინა, რამდენადაც მან თვისის ნებით, თვისის ძალ-ღონით ქმნა იგი. ამნაირად ადამიანის ზნეობრივის განახლებისთვის საჭიროა ორი პირობა. პირველი ისა, რომ თვით კაცმა ისურვოს სულის სიწმიდის მოპოება, აამოძრაოს თვისნი სულიერნი ძალნი ბოროტებასთან საბრძოლველად, დაიწყოს ბიწიერ სურვილების უკუქცევა; მეორე კი ისა, რომ უფალმან ცოდვასთან საომრად განმზადებულ ადამიანს მიმადლოს თვისი ძალა, რომ მან მისნი დასუსტებულნი ბუნებრივნი ძალნი გაანცხოველოს, განაძლიეროს და შეაძლებინოს მას დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. თუ რომელიმე ამ პირობათაგანი დარღვეულ იქმნა, მაშინ ბოროტებაზე გამარჯვება შეუძლებელია.

ადამიანის თვით-მოქმედება ზნეობრივის განახლებაში უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში. მან თვისი თავი უნდა იცნოს, თვის სულის სიღრმეში უნდა ჩაიხედოს, პირუთვნელად, სასტიკად გამოიძიოს და შეიტყოს, თუ რა ცუდი თვისებები აქვს მას. თვისი ნაკლულევანებები მუდამ თვალწინ დაყენებული უნდა ჰქონდეს და ყოველთვის, როცა კი ისინი მასში აღიძვრიან, თავს იჩენენ, უნდა შეეცადოს შეებრძოლოს მათ, უკუაქციოს. თუ იგი იმათ გამუდმებით ეომება, უარს ეუბნება დაკმაყოფილებაზე, მაშინ ისინი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდებიან და განიდევნებიან. თვისთ ცოდვითთა სურვილებთან ბრძოლა ძლიერ სასტიკი და ძნელია. იგი დიდ მოთმინებას და ენერგიას, ძალას ითხოვს; იმისთვის დიდი გამჭრიახობა და მეცადინობაა საჭირო. მათგან კაცი ბევრჯერ დამარცხდება, ბევრ ტანჯვას გამოივლის, გარნა იგი ამით არ უნდა შეშინდეს, იმედი არ უნდა დაკარგოს და მათთან ბრძოლაზე ხელი არ უნდა აიღოს. ცოდვითი მოქმედება სამის მომენტისაგან, სამის დროისაგან შესდგება. პირველს მომენტს შეადგენს ზრახვა, წარმოდგენა ცოდვისა, როცა კაცი რაიმე ბოროტ საქმეს გაიფიქრებს. მეორე მომენტი არის ფიქრთან ერთად თანადატკბობა, ე. ი. როცა კაცი ცოდვას და მისს შედეგს სავსებით, დაწვრილებით განიზრახავს, გაითვალისწინებს, და ამასთან ერთად სიამოვნობს. მესამე მომენტი არის მოქმედება, ასრულება წინდაწინვე განზრახულ საქმისა. ზემოდასახელებულ პირველ და მეორე მომენტების დროს კიდევ ადვილია ცოდვასთან ბრძოლა, ხოლო მეორე მომენტის შემდეგ კი ძლიერ ძნელია; ხასიათის დიდი სიმტკიცეა საჭირო, რომ ბოროტ მოთხოვნილებამ კაცის მნებელობა არ დაატყვევოს. ამიტომ ადამიანი უნდა მეცადინობდეს ძალ-ღონე თავშივე მოიკრიბოს და ცოდვითს სურვილს უარი უთხრას. ბრძოლა ცოდვასთან ძნელია

ვაჟკაცობაში; იგი უფრო ადვილია სიყმაწვილეში, როცა სულიერნი ძალნი ბოროტებაში არ არიან განმტკიცებულნი და მაშასადამე მათი მიდრეკა კეთილისადმი ადვილია. ამიტომ ადამიანმა თვითგასწორება სიყმაწვილეშივე უნდა დაიწყოს. თვისთ ბიწიერ მოთხოვნილებებთან ბრძოლასთან ერთად კაცმა უნდა განავითაროს ის კეთილი თვისებები, რომლებიც მას თანდაყოლილი აქვს, და მან კიდევ უნდა შეიძინოს ის ღირსებანი, რომელნიც მას არა აქვს, მაგრამ რომელთა მოპოებას მოითხოვს ზნეობრივი კანონი, განსაკუთრებით კი, მან უნდა აღანთოს თვის გულში სიყვარული ყოველთადმი, რადგან იგი არის დედა ყოველთა სათნოებათა.

როცა კაცი ამნაირად თვის გასწორების და სრულყოფის საქმეს შეუდგება, მაშინ მას ღმერთი მიანიჭებს თვის მადლს, ე. ი. ის აღივსება ზეციურის სიხარულითა და კმაყოფილებითა. ამ ღვთაებრივის მოწყალებით განმხნევებული და წაქეზებული ადამიანი, თვისთ ცოდვითთა მოთხოვნილებათ უფრო და უფრო მედგრად შეებრძოლება და კეთილ მოქმედებაში უფრო მეტ ძალას გამოიჩენს. კაცის ასეთ ქცევას ის შედეგი მოჰყვება, რომ მის სულში ღვთაებრივი მადლი უფრო გაცხოველდება, გაღვივდება და წარმოშობს მასში მომეტებულ სიტკბოებასა და სიხარულს. ასე, როცა ადამიანი ღვთის ხმას მუდამ უსმენს, მისს მადლს ემორჩილება, და როცა ღვთაებრივი მადლი მას გზას უცისკროვნებს, მეტ ღონეს აძლევს, მაშინ იმისი ბუნება, ბოროტებისგან სუფთავდება, სპეტაკდება, მასში ღმერთი ისადგურებს. ღმერთთან დაკავშირებას მოსდევს განთავისუფლება ყოველივე იმ მწუხარებათაგან, რომელნიც ზემოთ აღვნიშნეთ; და მშვიდობისა და სიხარულის დამკვიდრება; სადაც ღმერთი სუფევს, იქ მწუხარებას ალაგი არა აქვს, იქ მხოლოდ მუდმივი და შეურყეველი ნეტარება მეფობს. რაც უნდა დიდი უბედურება ამა სოფლისა ეწვიოს ღვთაებრივის ცხოვრებით შემოსილს ადამიანსა, იგი მაინც არ მოიდრკება წინაშე მისა და მწუხარებითის გრძნობებისა არ გარემოიცვება, რადგანაც, შინაგანი მისი სიტკბოებასიხარული, ღმერთთან დაკავშირებისა გამო წარმომდგარი, არ აძლევს ნებას ქვეყნიურ უსიამოვნებათა ფეხი მოიკიდონ იმის სულში, აამღელვარონ იმისი გული და ასე იგი მუდამ მხნე და მხიარულია.

აი ასეთი ნეტარებითი მდგომარეობა ქრისტიანისა, ე. ი. სულისგან ცოდვის განდევნა და მასში კეთილის გამეფება, ღმერთთან დაკავშირება, შინაგანის სიხარულისა და მშვიდობიანობის მოპოება, სოფლიურ ტანჯვა-წვალებათა უღელის—სიმძიმის შემსუბუქება, იწოდება ცხოვრებად, ანუ ცხოვნებად; იწოდება ამ სახელით იმიტომ, რომ კაცის მხოლოდ ასეთი ცხოვრება არის ნამდვილი, წესიერი, შესაფერისი იმის ბუნებისა და დანიშნულებისა ცხოვრება.

კაჭახიძე.

(გაგრძელება იქნება).

განცხადება.

ყვირილაში გალობის მასწავლებელი სერგეი ჯინჯველაშვილი ასწავლის ქართულს საეკლესიო და საერო გალობას ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: ბესარიონ მოდებაძის სახლი—ხაზინის პირდაპირ.

ამით ვაუწყებ პატივცემულ საერო და სამღვდელო წოდებას, რომ მე გავხსენი დაბა ყვირილაში სადურგლო კანკელისა და იკონოსტასების დასამზადებლად. კანკელებს, ცალკე სამეუფეო კარებსაც ვიღებთ ძლიერ იაფად იმედი გვაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება და სამღვდელოება ჩვენი ნაკეთებით არ დარჩება უკმაყოფილო.

იკონოსტასის მკეთებელი ტ. ჯიშკარიანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 17 апрѣля *1903 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.